2021

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა

საქართველო-ევროკავშირის დიალოგში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე

2021

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ინიციატივით და აერთიანებს წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებს საქართველოში 2020 წელს ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ ძირითად გამოწვევებზე. დოკუმენტი ცხრა ნაწილისგან შედგება: 1) ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა; 2) ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში; 3) რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში; 4) ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა; 5) ქალთა გაძლიერება; 6) ბავშვთა უფლებები; 7) შრომითი უფლებები; 8) წამება და არასათანადო მოპყრობა და 9) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

ვიმედოვნებთ, რომ მიუკერძოებელი შეფასება ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს დიალოგის პროცესს და წარმოაჩენს სამოქალაქო საზოგადოების წვლილსა და რეკომენდაციებს იმისათვის, რომ საქართველოში უკეთ იქნას დაცული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.

2021 წლის 5 ივნისი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

სარჩევი

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა *მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ* **3**

ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი) *მომზადებულია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ* **7**

რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში *მომზადებულია ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ* **10**

ქალების მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა *მომზადებულია ორგანიზაცია "Equality Now"-ს მიერ* **13**

ქალთა გაძლიერება *მომზადებულია „საფარის" მიერ* **15**

ბავშვთა უფლებები *მომზადებულია ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" მიერ* **18**

შრომითი უფლებები *მომზადებულია „ღირსეული შრომის პლატფორმის" მიერ*..... **20**

წამება და არასათანადო მოპყრობა *მომზადებულია ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმა" მიერ* **23**

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური *მომზადებულია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ*..... **27**

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა

პროგრესი

კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოში 2014 წელს ამოქმედდა, რასაც ათობით საკანონმდებლო აქტში შესაბამისი ცვლილებები მოჰყვა. რამდენიმე ცვლილება კანონის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით მიღებული იქნა 2019 წელს. ამ ცვლილებებმა ნაწილობრივ გააძლიერა აღსრულების მექანიზმები და გამოიწვია პროცედურული და არსებითი მოდიფიკაციები, მათ შორის: ინდივიდებისთვის გახანგრძლივდა სასამართლოში გასაჩივრების ვადები, გაფართოვდა საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი და დარეგულირდა სექსუალური შევიწროება.[1] 2020 წელს ცვლილებები შევიდა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაშიც. მიღებული იქნა კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ და გაფართოვდა შშმ პირების სამართლებრივი დაცვა.[2] არსებითი ცვლილებები შევიდა შრომის კოდექსში. ამ ცვლილებების შედეგად შრომის კოდექსი გამოყოფს და დეტალურად არეგულირებს შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებს და უშუალოდ ავალდებულებს დამსაქმებლებს, უზრუნველყონ ქალი და მამაკაცი თანამშრომლები თანაბარი ანაზღაურებით ერთნაირი სამუშაოს შესრულებისთვის.[3] მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა, პრობლემად რჩება თანასწორობის პოლიტიკის აღსრულება და პრაქტიკაში მისი ეფექტიანი განხორციელება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ლგბტ+ თემის წინაშე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია საქართველოში. მიუხედავად რამდენიმე საკანონმდებლო აქტის და ეროვნული სამოქმედო გეგმისა, რომლებითაც ლგბტ+ ადამიანთა უფლებების დაცვის საფუძველი შეიქმნა, ზემოაღნიშნული ცვლილებები რეალურ ცხოვრებაში არ აისახა მათი არაეფექტიანი განხორციელების გამო.[4]

არსებული მდგომარეობა

ახლად შემოღებულმა მექანიზმებმა და საკანონმდებლო ცვლილებებმა საკანონმდებლო ჩარჩო კი გააუმჯობესა, მაგრამ ისინი არაეფექტიანი აღმოჩნდა პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და დაუცველი ჯგუფების პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ლგბტ+ პირები განსაკუთრებით დაუცველნი არიან სტიგმისა და ძალადობისგან. ამ ჯგუფის წარმომადგენლები ვერ სარგებლობენ შეკრების უფლებითა და გამოხატვის თავისუფლებით

---

[1] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3c5SHCI

[2] საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ 14/07/2020. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3fIaa6D

[3] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ 17/12/2010. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3uFTVLr

[4] სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებზე დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში, 2019. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3gUFYmO

და სერიოზულ დისკრიმინაციას განიცდიან.[5] ლგბტ+ პირები აწყდებიან ბარიერებს შრომის უფლებების, სამედიცინო და სოციალურ სერვისებზე წვდომის და, ასევე, განათლების უფლების სრულად გამოყენების კუთხით.[6] გარდა ამისა, საგანგაშოა ის, რომ ჰომოფობიური და ანტიგენდერული ჯგუფების მზარდი რაოდენობისა და ზეგავლენის გამო ლგბტ+ პირები კვლავ განიცდიან ჩაგვრას, ძალადობასა და დისკრიმინაციას. რადიკალური ჯგუფების მხრიდან ლგბტ+ პირებზე თავდასხმებს სისტემატური ხასიათი აქვს.[7] ამის ერთ-ერთი მაგალითია „თბილისი პრაიდის“ ოფისზე თავდასხმა, რომლის დროსაც შენობას საღებავი შეასხეს და კვერცხები ესროლეს. თავდამსხმელებმა მოიპარეს დროშა და სიტყვიერად დაემუქრნენ ოფისის თანამშრომლებს.[8]

ლგბტ+ თემში ყველაზე დაუცველები ტრანსგენდერი ადამიანები არიან. ტრანსგენდერი ადამიანები ყველაზე ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი.[9] გარდა ამისა, სახელმწიფოს რეაგირება ასეთი ინციდენტების პრევენციის, გამოძიებისა და მოძალადეთა დასჯის თვალსაზრისით არასაკმარისი და არაეფექტიანია.[10] სახელმწიფო ჰომოფობიასა და ტრანსფობიას კვლავ ინდივიდუალურ პრობლემად განიხილავს და არა სისტემურ და სტრუქტურულ გამოწვევად; შედეგად, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ჰომოფობიასთან ბრძოლის მთავარი სტრატეგია ინდივიდუალურ გამოვლინებებზე სელექციური სადამსჯელო რეაგირებით შემოიფარგლება.[11] სამოქალაქო აქტებში სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლის შეუძლებლობა ქირურგიული ოპერაციის გაკეთების გარეშე პრობლემად რჩება. სქესის შესახებ ჩანაწერის შესაცვლელად ქირურგიული ჩარევის გზით სქესის შეცვლისა და შესაბამისი დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის მოთხოვნა არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და სამედიცინო ჩარევის გარეშე გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებებს. სწორედ ამ საკითხზე მიმართეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა

---

[5] საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) მიერ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის 37-ე სესიაზე წარდგენილი დოკუმენტი (2021 წლის იანვარი-თებერვალი), პუნქტი 29. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3c3RR9C

[6] იქვე, პუნქტი 37.

[7] იხ., მაგალითად, უკანასკნელი საქმეები: სატელევიზიო არხი „მთავარი“, „მორიგი თავდასხმა ლესობელ წყვილზე“, 24.04.2021. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3p8Ec6n

[8] იხ., აგრეთვე: „შეხვედრა „თბილისი პრაიდის“ ოფისზე გახშირებულ თავდასხმებთან დაკავშირებით“, 2020 წლის 6 ოქტომბერი. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/2SIJ4Dd

[9] იხ., მაგალითად: „ძალადობა ტრანსგენდერზე - ქალი კორპუსიდან გადახტა“. 2020 წლის 19 ოქტომბერი. სტატია ქართულ ენაზე იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3fCTFZq

[10] „ალტერნატიული მოსაზრებები - იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021 წლის მაისი. სტატია ქართულ ენაზე იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3yU2k1i

[11] რადიო „თავისუფლება“, „არასამთავრობო ორგანიზაციები: ჰომოფობიური ძალადობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა“, 27.04.2021, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3vEAWCv

ასოციაციამ და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციამ, „ადამიანის უფლებათა ადვოკატირების ევროპულმა ცენტრმა“ (EHRAC), ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.[12]

გარდა იმისა, რომ არა აქვს სათანადო საგამოძიებო მექანიზმები,[13] სახელმწიფოს პრაქტიკულად არ გააჩნია იმ პირთა რესოციალიზაციის და გარდაქმნის პოლიტიკა, რომლებიც სიძულვილის ნიადაგზე დანაშაულის ჩადენაში არიან ბრალდებულნი. სამწუხაროდ, ეს ვითარება უცვლელია 2021 წლის მაისის მდგომარეობით.[14] 2015 წელს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში,[15] ხოლო 2016 წელს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI)[16] მიერ საქართველოს მიეცა რეკომენდაცია, გაეძლიერებინა ბრძოლა სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ და შეექმნა დამოუკიდებელი საგამოძიებო ერთეული, რომელიც კონკრეტულად სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებზე იმუშავებდა. შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი. თუმცა, ვინაიდან ეს დეპარტამენტი არ არის სპეციალური საგამოძიებო ერთეულის ეკვივალენტი პოლიციის სისტემაში, ის ვერ ჩაითვლება სიძულვილის დანაშაულების გამოძიების გაძლიერებისთვის დაგეგმილი ძალისხმევის შემადგენელ ელემენტად[17] და ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის და სისტემური პრევენციის პოლიტიკის შემუშავებას.[18]

ვირუსის გავრცელებამ და შესაბამისი რეგულაციების მიღებამ ხელი შეუწყო სიღარიბის ზრდას და უთანასწორობის გაღრმავებას, რაც განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფებზე აისახა. მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა არ მოიცავდა თვითდასაქმებულთა და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა გარკვეულ კატეგორიებს, ასევე ბევრ სხვა, კრიზისით ყველაზე მეტად დაზარალებულ ჯგუფს: არაფორმალურ სექტორში ჩართულ ინდივიდებს, უმეტესად ქალებს (მათ შორის ძიძებს, დამლაგებლებსა და მომვლელებს); მარტოხელა დედებს; უსახლკაროებს; სექსმუშაკებს; ლგბტ+ პირებს და სხვ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

---

[12] „საქართველო უარს ამბობს ტრანსგენდერი მამაკაცის გენდერის აღიარებაზე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართავს“, 2019-10-24. სტატია ქართულ ენაზე იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3g1imO5

[13] ქვეყნების 2020 წლის ანგარიშები ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ: საქართველო. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2021 წლის 30 მარტი. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3ibg5m5

[14] იხ. „საია ეხმიანება ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს“, 2021-05-17. სტატია იხილეთ შემდეგ მისამართზე:: https://bit.ly/3vE6pER

[15] უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფის ანგარიში – საქართველო, 2015, რეკომენდაცია 118.10.

[16] რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ანგარიში საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი). მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს. გამოქვეყნებულია 2016 წლის 1 მარტს.

[17] რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) შუალედური ანგარიში საქართველოს შესახებ, გამოქვეყნებული 2019 წლის 5 მარტს (CRI (2019) 4), 2016 წლის 1 მარტის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://women.ge/ka/news/newsfeed/226/.

[18] ალტერნატიული ანგარიში საქართველოს მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესრულების თაობაზე, 2020. გვ. 12-13. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/2S3rav0

პირები მზარდი საფრთხეების წინაშე აღმოჩნდნენ COVID-19-ის პანდემიის გამო, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა მათი მდგომარეობა ადამიანის უფლებების გამოყენების თვალსაზრისით. იყო ასევე რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკის მაგალითები.[19]

რეკომენდაციები

- გაძლიერდეს ინსტიტუციური ღონისძიებები სამართალდამცავ სისტემაში დამოუკიდებელი საგამოძიებო ერთეულის შექმნის გზით, რათა მოხდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ეფექტიანი ბრძოლა, მათი გამოძიება და პრევენცია;
- გაუმჯობესდეს კანონმდებლობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შეზღუდვის და დაუცველი ჯგუფებისთვის დამატებითი გარანტიების დადგენის მიზნით, შეიქმნას სისტემური პრევენციული მექანიზმები დაუცველი ჯგუფების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ;
- შეიქმნას სქესის იურიდიული აღიარების გამჭვირვალე და ეფექტიანი ადმინისტრაციული მექანიზმები, რომლებიც გამიჯნული იქნება სამედიცინო სფეროსგან და არ მოიაზრებს არასათანადო და ინვაზიურ სამედიცინო ჩარევას იურიდიული აღიარების პროცესის წინაპირობად;
- გაძლიერდეს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის განხორციელების და აღსრულების პროცედურები, განსაკუთრებით შრომით ურთიერთობებსა და განათლებაში;
- ჩატარდეს დისკრიმინაციის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის დაუშვებლობის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანიები;
- COVID-19-ის პანდემიასთან საბრძოლველად და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად რეგულაციების შემუშავების დროს ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღოს დაუცველი ჯგუფების ინტერესები და საჭიროებები.

მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ

[19] „საიას შეფასება 2020 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3uF05LN.

ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი)

პანდემიამ ხელი შეუწყო ცხინვალისა და აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის გავლენის გაძლიერებას. ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა.

არსებული მდგომარეობა

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ქართველებს შეზღუდული აქვთ **მშობლიურ ენაზე განათლების** მიღების უფლება. ეს შეზღუდვა სისტემატურ ხასიათს ატარებს და გამოიხატება ქართულ ენაზე განათლების მიღების აკრძალვით, სკოლებში ქართულენოვანი მასწავლებლების მუდმივი დაშინებით, ქართული სახელმძღვანელოების სასწავლო პროგრამიდან ამოღებით და ქართულ უნივერსიტეტებში ჩარიცხულთათვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების ხელის შეშლით, რაც მათ გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესების ან სხვა პირდაპირი ან ირიბი ზეწოლის გზით კეთდება.

დე ფაქტო ხელისუფლებები აგრძელებენ ბარიერების შექმნას გალის და ახალგორის იმ მკვიდრთა **გადაადგილების თავისუფლების** შესაზღუდავად, რომლებმაც არ მიატოვეს საკუთარი სახლები. ასეთ ბარიერებს შორისაა დამატებითი დოკუმენტაციის შემოღება და საკონტროლო-გამშვები პუნქტების გაუფრთხილებლად, გრძელვადიანი ჩაკეტვა. 2019 წლის სექტემბერში ახალგორში მოსაბრუნის გადასასვლელის სრულად ჩაკეტვამ, რომელსაც ჩორჩანა-წნელისის დაძაბულობა მოჰყვა, ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია. საკვები პროდუქტების ნაკლებობის და სამედიცინო მომსახურების მიუწვდომლობის გამო ბოლო წელიწადნახევარში ახალგორი მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დატოვა. უამრავი ხელოვნური ბარიერის გარდა, რომლებიც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ აღმართა, ქართული მხარის მიერ დაწესებულმა სავალდებულო კარანტინმა გალის მოსახლეობას საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად ალტერნატიული, მათ შორის უფრო სახიფათო გზების ძიებისკენ უბიძგა. 2021 წლის აპრილში ოთხი ადამიანის დაღუპვამ, რომლებიც აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან ზუგდიდში გადმოსვლას შემოვლითი გზით, მდინარე ენგურის გადმოლახვით ცდილობდნენ, ქართული მხარე აიძულა, სავალდებულო ხუთდღიანი კარანტინი გაეუქმებინა.

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევის ყველაზე ნათელი მაგალითები ზაზა გახელაძის და ირაკლი ბებუას საქმეებია. ზაზა გახელაძეს ცხინვალში 12 წლით პატიმრობა მიესაჯა სრულიად აბსურდული ბრალდებებით, ხოლო ირაკლი ბებუას 9 წლით აღეკვეთა თავისუფლება აფხაზეთის დროშის დაწვის გამო. ბებუას უკანონო დაკავება განსაკუთრებით საგანგაშოა მისი საქმის

პოლიტიკური კონტექსტისა და მგრძნობელობის გათვალისწინებით. ამჟამად საქართველოს სამი მოქალაქეა უკანონოდ დაპატიმრებული ცხინვალში: გენადი ბესტაევი (შეეფარდა ორწლიანი პატიმრობა), ლაშა ხეთერელი (ერთწლიანი პატიმრობა) და ზაზა გახელაძე (12 წლიანი პატიმრობა). 2021 წლის იანვარ-მარტში რუსმა სამხედროებმა 3 000-ზე მეტი ადამიანი დააკავეს და დააჯარიმეს აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისთვის.

ახალგორის მცოცავი „ეთნიკური“ წმენდა - ოკუპირებულ ახალგორის რაიონში ჰუმანიტარული მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა 2019 წლის აგვისტოში წარმოქმნილი ჩორჩანა-წნელისის კრიზისის შემდეგ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საპოლიციო პუნქტი მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გახსნა. ცხინვალმა ამ პუნქტის გაუქმება მოითხოვა, მაგრამ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. საპასუხოდ ცხინვალმა ახალგორი და მისი მოსახლეობა სრულად მოწყვიტა გარე სამყაროს. 2020 წლის ბოლოს მიგრაციული პროცესების მკვეთრი გაუარესების გამო, დე ფაქტო ხელისუფლებამ გადაადგილებაზე სპეციალური საშვების გაცემა დაიწყო, თუმცა გასვლის უფლებას ყველას არ აძლევდა. ეგრეთ წოდებული „შავი სია“ 100-მდე ადამიანს მოიცავს, რომლებსაც უცნობი მიზეზებით არ აძლევენ საშვებს. თამარ მეარაყიშვილი, სამოქალაქო უფლებებისთვის მებრძოლი აქტივისტი ახალგორიდან, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობის შურისძიების მსხვერპლია. უსაფუძვლო გამოძიების გამო, რომელიც უკვე ოთხი წელია მიმდინარეობს, თამარს წლებია შეზღუდული აქვს გადაადგილების თავისუფლება.

სიცოცხლის უფლება - ოკუპირებულ ტერიტორიებზე, 2014 წლის შემდეგ, საქართველოს ოთხი მოქალაქე სასტიკად მოკლეს რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებმა: 28 წლის დავით ბაშარაული 2014 წელს, 31 წლის გიგა ოთხოზორია 2016 წელს, 35 წლის არჩილ ტატუნაშვილი 2018 წელს და 29 წლის ირაკლი კვარაცხელია 2019 წელს. ამ საქმეების ეფექტიანი გამოძიება დღემდე არ ჩატარებულა და არავინ დასჯილა.

ინალ ჯაბიევის საქმე - 2020 წელს დე ფაქტო „მილიციის“ მიერ რამდენიმედღიანი დაკითხვის შემდეგ, 30 წლის ინალ ჯაბიევი ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში „გაურკვეველ ვითარებაში“ გარდაიცვალა. სავარაუდოდ, ახალგაზრდა კაცი წამების შედეგად დაიღუპა. მისი ოჯახი და მხარდამჭერები მუდმივ ზეწოლას განიცდიან. ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინალის საქმე ადამიანის უფლებების დარღვევების მთელ ჯაჭვს წარმოადგენს: სიცოცხლის უფლების დარღვევა; წამება; ადვოკატის ყოლის უფლების შეზღუდვა; შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვა; საქმის სამართლიანი განხილვის უფლება და ა.შ.

სამედიცინო მომსახურება - ოკუპირებულ ტერიტორიებზე, პანდემიამ მნიშვნელოვნად გაართულა ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა. გადაადგილების უფლების შეზღუდვებმა გალისა და ახალგორის რაიონებში მცხოვრებ საქართველოს ბევრ მოქალაქეს წაართვა შესაძლებლობა, მიეღო სამედიცინო მომსახურება ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. მართალია, გალსა და ახალგორში არის

საავადმყოფოები, მაგრამ მათ არა აქვთ სათანადო ინფრასტრუქტურა, მედიკამენტების მარაგი და არა ჰყავთ სათანადო კვალიფიკაციის პერსონალი.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში - რუსეთმა გააძლიერა თავისი ბაზები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობა დაიწყო. კვლავ მიმდინარეობს და ძლიერდება ეგრეთ წოდებული „ბორდერიზაცია“ რუსი სამხედროების მიერ. რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის დანაყოფები გამყოფი ხაზის გასწვრივ არიან განლაგებულნი, რათა გააკონტროლონ ქართველებსა და აფხაზებს, ასევე ქართველებსა და ოსებს შორის უშუალო კონტაქტის შესაძლებლობა.

რეკომენდაციები

- საერთაშორისო ორგანიზაციებმა გააძლიერონ მუშაობა სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგისთვის.
- საქართველოს მთავრობამ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად განსაზღვროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა.

მომზადებულია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ

რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში

პროგრესი

2020 და 2021 წლები საქართველოში განსაკუთრებით პრობლემური იყო ადამიანის უფლებების დაცვისა და თანასწორობის თვალსაზრისით. COVID-19-ის პანდემიამ და მისმა შედეგებმა მძიმე გავლენა იქონია დაუცველ ჯგუფებზე. ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ყველა ადამიანი რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით, უგულებელყო თანასწორობა რელიგიურ თემებს შორის და რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპი. მიმდინარე პანდემიამ გააძლიერა სიძულვილის ენა, რომელიც განსაკუთრებით მტრული ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და მუსლიმი მოქალაქეების მიმართ იყო. გარდა ამისა, მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი იერარქიის სასულიერო პირებმა ანტისემიტური განცხადებები გააკეთეს.

2021 წლის აპრილში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მუსლიმების სასარგებლოდ, რომლებსაც ქალაქის მერია არ აძლევს ბათუმში ახალი მეჩეთის აშენების ნებართვას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განაგრძო უფლებადამცველების ჩართვა სკოლის ახალი სახელმძღვანელოების შინაარსის განხილვისა და შემოწმების პროცესში. სახელმძღვანელოების შეფასება ხდება ადამიანის უფლებების დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის კუთხით.

არსებული მდგომარეობა

- 2020-2021 წლებში სახელმწიფომ მრავალჯერ გამოავლინა დისკრიმინაციული მიდგომა რელიგიური გაერთიანებების მიმართ. COVID-19-ის გამო შემოღებული შეზღუდვებისა და 2020 წლის გაზაფხულზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ერთადერთი ინსტიტუტი იყო, რომელიც მასობრივი რელიგიური მსახურების ჩატარებას აგრძელებდა იმ დროს, როდესაც სხვა რელიგიურმა ორგანიზაციებმა მსახურება შეწყვიტეს. მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ აღდგომის დღესასწაულზე ეკლესიები არ ჩაიკეტებოდა, რადგან საქართველო „მართლმადიდებლური სახელმწიფოა“.[20] მოგვიანებით, ახალი შეზღუდვების პირობებში, მხოლოდ 2021 წლის 6 იანვრის ღამეს (როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია შობას აღნიშნავს), მოიხსნა საჯარო სივრცეში გადაადგილებაზე შეზღუდვა, მაშინ, როდესაც სხვა ქრისტიანებს კომენდანტის საათის გამო არ მიეცათ უფლება, 24 დეკემბრის ღამეს შობა ეზეიმათ. მაშინდელმა ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა ამის მიზეზად დაასახელა ის, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია.[21] პრემიერ-მინისტრთან არსებულ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს არც საგანგებო მდგომარეობის დროს და

[20] პრემიერ-მინისტრის განცხადება, ნეტგაზეთი, 14.04.2020. ხელმისაწვდომია – https://netgazeti.ge/news/443277/
[21] „არა-ფობიას!“ განცხადება შობის ღამეს გამონაკლისის დაწესებაზე, HumanRights.ge, http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20288&lang=geo

არც მას შემდეგ არ გაუკეთებია რაიმე განცხადება ან რეკომენდაცია, მიუხედავად იმისა, რომ მის მანდატში სწორედ რელიგიის საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება შედის. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სააგენტოს მიზანი რელიგიური ორგანიზაციების დიფერენცირებაა და არა რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვა.

- საქართველოს კანონმდებლობა კვლავ მოიცავს დისკრიმინაციულ ნორმებს, რომლებიც პრივილეგიებს ანიჭებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და დისკრიმინაციულ გარემოს ქმნის სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის. 2019-2021 წლებში რელიგიურ უმცირესობათა ორგანიზაციებმა, რომლებსაც „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი" წარმოადგენდა, სამი კონსტიტუციური სარჩელი შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოში საგადასახადო კოდექსის და „სახელმწიფო ქონების შესახებ" კანონის იმ ნორმების წინააღმდეგ, რომლებიც ექსკლუზიურ ქონებრივ და საგადასახადო უფლებებს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს. ეს საქმეები სასამართლოში კვლავ განხილვის ეტაპზეა.
- მიუხედავად იმისა, რომ ეს უმცირესობათა რელიგიური თემებისთვის დიდი ხნის პრობლემაა, პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას არ მიუღიათ არანაირი ზომა კანონმდებლობაში ამ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. ნაცვლად ამისა, 2020 წელს პარლამენტმა კიდევ ერთი პრივილეგია მიანიჭა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. 2020 წლის მარტსა და მაისში, საგანგებო მდგომარეობის დროს, პარლამენტმა კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა, რომლებითაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფო ტყეებზე საკუთრების ექსკლუზიური უფლება მიენიჭა.[22]
- 2021 წლის 13 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმეზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ბათუმის მერიის უარი, გაეცა მშენებლობის ნებართვა ბათუმში ახალი მეჩეთის ასაშენებლად, უკანონო და მუსლიმი თემის მიმართ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული იყო.[23]
- 2020 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქუთაისი-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტმა, საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა იოანე გამრეკელმა ქადაგების დროს ანტისემიტური განცხადებები გააკეთა. მისი ქადაგება იმეორებს ებრაელების შესახებ გავრცელებულ საშიშ რელიგიურ სტერეოტიპს, რომლის თანახმადაც, ებრაელი ერი კოლექტიურადაა პასუხისმგებელი ქრისტეს ჯვარცმის გამო და ქრისტიანთა მდევნელად წარმოჩნდება, რაც საუკუნეების განმავლობაში, ინსტიტუციური ანტისემიტიზმის ერთ-ერთი ყველაზე მყარი საფუძველი იყო. ანტისემიტური განცხადებები სხვა მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმაც გააკეთეს. არც მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს და არც ხელისუფლებას კრიტიკულად არ შეუფასებიათ და არ

[22] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) განცხადება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პრივილეგიების მინიჭების თაობაზე, https://bit.ly/3qG5p1k

[23] „მეჩეთის მშენებლობაზე უარი უკანონო და დისკრიმინაციულია", https://bit.ly/3h7kc1R

დაუგმიათ ეს ანტისემიტიზმი.[24] 2021 წლის მაისში მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სატელევიზიო არხი „მთავარის“ ჟურნალისტებს.[25]

რეკომენდაციები

სახელმწიფომ უნდა:

- უზრუნველყოს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოუკიდებლობა, როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციაშია გარანტირებული, თანაბრად მოეპყროს ყველა რელიგიურ თემს და აღმოფხვრას დისკრიმინაციული რელიგიური პოლიტიკა და პრაქტიკა;
- კრიტიკულად შეაფასოს და დაგმოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წამომადგენლების მიერ ანტისემიტიზმის და სიძულვილის ენის გამოყენება და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს ცალკეული სასულიერო პირების ძალადობრივ ქმედებებზე;
- აღმოფხვრას დისკრიმინაცია და უთანასწორობა რელიგიური გაერთიანებების მიმართ საქართველოს კანონმდებლობაში;
- გააუქმოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის ნაცვლად, რელიგიურ უმცირესობათა მიმართ დისკრიმინაციას აღრმავებს და ერევა მათ ავტონომიურობაში.

მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ

[24] „საეკლესიო ანტისემიტიზმი - განახლებადი ინფორმაცია“, მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ, http://tdi.ge/ge/statement/saeklesio-antisemitizmi-ganaxlebadi-inpormacia

[25] სასულიერო პირები დავით გარეჯში „კარტოგრაფების საქმის“ ეჭვმიტანილს და ჟურნალისტებს დაუპირისპირდნენ“, Civil.ge, https://civil.ge/archives/417878

ქალების მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა

პროგრესი

2020 წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად. ეს დოკუმენტი კონკრეტულად ეხება ოჯახში ძალადობას, სექსუალურ ძალადობას, ბავშვთან ქორწინებასა და ქორწინების იძულებას. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ზომები მოიცავს: ელექტრონული მონიტორინგის მექანიზმის შემოღებას ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის (2020 წლის 1 სექტემბერი); 60-ზე მეტი პროკურორის მომზადებას და მათთვის სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისთვის სპეციალიზაციის მინიჭებას (2021 წლის მარტი; მხარდამჭერები - ევროპის საბჭო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია და ორგანიზაცია "Equality Now"); კანონის მიღება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ (17.03.2020) და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქორწინების იძულების აღმოსაფხვრელად კამპანიის წამოწყებას, რომლიც, სხვა აქტივობებთან ერთად, ითვალისწინებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ინტენსიურ კამპანიებს (2021 წლის 1-ლი ივნისი, მხარდამჭერი - გაეროს მოსახლეობის ფონდი).

არსებული მდგომარეობა

მდგომარეობა ქალთა მიმართ ძალადობის, კერძოდ ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქორწინების იძულების მიმართულებით კვლავ უმეტესწილად იმგვარია, როგორც 2020 წლის მანძილზე იყო.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის სერვისები და მხარდაჭრა კვლავ არასაკმარისია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან დასაცავად და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული დახმარებით უზრუნველსაყოფად, მათ შორის ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, რაც მსხვერპლებისთვის ძალადობის ციკლის დარღვევას შეუწყობდა ხელს. COVID-19-მა კიდევ უფრო დაამძიმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობა - ისინი მოძალადეებთან ერთად ჩაკეტილები აღმოჩნდნენ, რაც ურთულებდა მათ დახმარების სერვისების მიღებას. ქალთა მკვლელობის მაჩვენებელი 2020 წელს კვლავ მაღალი იყო - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონაცემებით, ამ წელს 24 ამვარი შემთხვევა დაფიქსირდა.

სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ადვოკატირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული რეკომენდაციების მიუხედავად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ჯერ კიდევ არ არსებობს თანხმობის არარსებობაზე დაფუძნებული გაუპატიურების განმარტება. მოქმედი დეფინიცია, რომელიც გულისხმობს ძალადობას, ძალადობის მუქარას ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებას, ეწინააღმდეგება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციას (სტამბოლის კონვენცია) და ადამიანის უფლებათა სხვა სავალდებულო ინსტრუმენტების მოთხოვნებს, რომელთა მხარეა საქართველო. გარდა ამისა, სექსუალური

ძალადობის დასადასტურებლად კვლავ მოქმედებს ზედმეტად ხისტი მტკიცებულებითი სტანდარტები, რაც ბევრი მოძალადის დაუსჯელად დატოვების შესაძლებლობას იძლევა. მსხვერპლები თავს იკავებენ სექსუალური ძალადობის შემთხვევათა შეტყობინებისგან და როდესაც ამას აკეთებენ, ხშირად მათი არ სჯერათ და უწევთ მოძველებული და დისკრიმინაციული პროცედურების გავლა, რაც ხელს უწყობს მათ მეორეულ ვიქტიმიზაციას. შედეგად, სექსუალური ძალადობის დანაშუალის ჩამდენთა დაუსჯელობა კვლავ ხშირია.

ზიანის მომტანი პრაქტიკები, როგორიც არის ბავშთან ქორწინება და ქორწინების იძულება, საქართველოში დღესაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ქოწრინების მინიმალურ ასაკად 18 წელს განხაზღვრავს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2020 წელს ბავშვობის ასაკში ქორწინების, ქორწინების იძულებისა და ქორწინების იძულების მიზნით პირისთვის თავისუფლების აღკვეთის/მოტაცების 199 შემთხვევა იქნა აღრიცხული (აქედან 47 მოტაცების შემთხვევა იყო). ბავშვობის ასაკში ქორწინება ხშირად აფერხებს გოგოეისთვის განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე წვდომას და ეს პრაქტიკა ზოგჯერ სიღარიბისა და სექსუალური და ოჯახში ძალადობის გაზრდილ რისკებთან არის დაკავშირებული. სისხლის სამართლის სისტემა ბავშვთან ქორწინებას არ აღიქვამს ქორწინების იძულების ფორმად, რომლის დროსაც ბავშვს არ აქვს შესაძლებლობა, გამოთქვას ნამდვილი და ნებაყოფლობითი თანხმობა ამგვარ კავშირზე. ქორწინების იძულების მიზნით ქალის მოტაცების დანაშაული იშვიათად აღწევს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემამდე და დანაშაულის ჩამდენი პირები ძალიან ხშირად რჩებიან საპატიმრო სასჯელების გარეშე.

რეკომენდაციები

- შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და გაუპატიურების დეფინიცია დაეფუძნოს მსხვერპლის თანხმობის არარსებობას;
- მოხდეს გენდერულად სენსიტიური და მსხვერპლზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პროცედურების უზრუნველყოფა სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით და გაუქმდეს მტკიცებულებების წარმოდგენის და ძალადობის ფაქტის დადასტურების ხისტი სტანდარტები და დისკრიმინაციული პრაქტიკა;
- აღმოიფხვრას ბავშობის ასაკში ქორწინებისა და ქორწინების იძულების (მათ შორის, ქორწინების იძულების მიზნით პირისთვის თავისუფლების აღკვეთა/მოტაცება) ძირეული მიზეზები: გაძლიერდეს საგანმანათლებლო, ჯადაცვის, სოციალური და სხვა მხარდამჭერი სერვისები, გაუმჯობესდეს სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაცია და მოხდეს მსხვერპლზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პროცედურების უზრუნველყოფა მოძალადეების პასუხისგებაში მისაცემად;
- გააქტიურდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის ხანგრძლივ მხარდაჭერაზე ორიენტირებული სერვისები, მათ შორის ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით.

მომზადებულია ორგანიზაცია "Equality Now"-ს მიერ

ქალთა გაძლიერება

პოლიტიკური გაძლიერება

პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის თვალსაზრისით 2020 წელი მნიშვნელოვანი წელი იყო. ქალთა ორგანიზაციებისა და მოძრაობების მიერ სულ მცირე ბოლო ექვსი წლის განმავლობაში წაყენებული მოთხოვნების საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები და შემოიღო სავალდებულო გენდერული კვოტები. შედეგად, პოლიტიკურ პარტიებს მოეთხოვებათ, რომ პარტიის პროპორციულ სიაში 2024 წლიდან 2028 წლის არჩევნებამდე სულ მცირე ყოველი მეოთხე კანდიდატი განსხვავებული გენდერის იყოს, 2028 წლის ოქტომბრის არჩევნებიდან მოყოლებული 2032 წლის ოქტომბრის არჩევნების ჩათვლით კი პარტიის პროპორციულ სიაში ყოველი მესამე კანდიდატი განსხვავებული გენდერის უნდა იყოს.

ზემოხსენებულ ცვლილებებს ქალებსა და მამაკაცებს შორის დე ფაქტო თანასწორობა რეალურად არ წაუხალისებია. მაგალითად, სავალდებულო გენდერული კვოტისთვის გვერდის ასავლელად პოლიტიკურმა პარტია „გირჩმა“ მოქმედ კანონმდებლობაში თავის დაძვრენის საშუალება იპოვნა. კერძოდ, ქალმა დეპუტატმა, რომელიც პარლამენტში „გირჩის“ სიით შევიდა, უარი თქვა პარლამენტის წევრობაზე, ხოლო თავად პარტიამ გააუქმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული პარტიული სია. შედეგად, პარლამენტში პარტიის მამაკაცი წევრი შევიდა იმ ქალი დეპუტატის ნაცვლად, რომელიც „გირჩის“ სიით უნდა შესულიყო. ამჟამად პარლამენტის 150 წევრიდან მხოლოდ 29 პარლამენტარია ქალი.[26]

რაც შეეხება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, საქართველში 64 მერიდან მხოლოდ ერთია ქალი. ქალთა წარმომადგენლობა სასამართლო სისტემაში აღემატება მამაკაცებისას, მაგრამ ქალებს გადაწყვეტილებათა მიმღები პოზიციების მხოლოდ 10.7% უკავიათ.[27]

ეკონომიკური გაძლიერება

მთავარი გამოწვევა 2020 წელს COVID-19-ის პანდემია იყო, რომელმაც სერიოზული გავლენა იქონია ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემაზე და მნიშვნელოვნად გააუარესა ქალთა ეკონომიკური მდგომარეობა. ვინაიდან უფრო სავარაუდოა, რომ ქალები დასაქმებულები იყვნენ დაბალანაზღაურებად, არასრული სამუშაო დღით და/ან არაოფიციალურ სამსახურებში, პანდემიის მიერ გამოწვეულმა კრიზისმა ყველაზე დიდი

[26] იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://parliament.ge/parliament-members

[27] „ქალები გადაწყვეტილებათა მიღებაში“, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2021, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2021/women%20in%20decision%20making-final%20(1).pdf?la=ka&vs=0

დარტყმა მათ მიაყენა.[28] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-საქართველოს თანახმად, ოქტომბერში გამოკითხული დასაქმებული ქალების 20%-მა დაკარგა სამუშაო პანდემიის გამო, ხოლო გამოკითხულ ქალთა 39%-ის შემოსავალი პროდუქტიული აქტივობიდან შემცირდა.[29] კორონავირუსის ნეგატიური ეკონომიკური ზეგავლენა განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა მეწარმე ქალებისათვის, რომელთა დიდი უმრავლესობის შემოსავალი შემცირდა, ხოლო ნახევრისა - სულ მცირე განახევრდა. დასაქმების ძირითადი დაბრკოლებები იყო დედის მოვალეობების შესრულება, ოჯახის მხრიდან დახმარების ნაკლებობა და ბავშვზე აუნაზღაურებელი ზრუნვა. შესაბამისად, პანდემიის პირობებში ქალები, განსაკუთრებით ქალები ბავშვიანი ოჯახებიდან, უფრო მეტად განიცდიან გაზრდილი საოჯახო შრომის ზემოქმედებას.

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ საქართველოს მთავრობას წარუდგინა რეკომენდაციები[30], მათ შორის ქალთა ეკონომიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით. თუმცა, მთავრობას სრულფასოვნად არ შეუსრულებია საპარლამენტო საბჭოს რეკომენდაციები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2020 წლის ოთხივე კვარტლის განმავლობაში[31] მამაკაცთა მონაწილეობა შრომით ძალაშიც და დასაქმებულ მამაკაცთა საშუალო თვიური ნომინალური შემოსავალიც კვლავ მნიშვნელოვნად მაღალი იყო ქალებისაზე.[32]

რეკომენდაციები

- იმისათვის, რომ ქალები რეალურ ზეგავლენას ახდენდნენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე, უმნიშვნელოვანესია პარლამენტსა და თვითმმართველ ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა, გაფართოება და სულ მცირე 30%-ის მიღწევა;

---

[28] გაეროს ქალთა ორგანიზაცია, "COVID-19 და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის აღმოფხვრა", 2020, გვ. 5. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/39Fdf3F

[29] „საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება", 2021. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3avXU5X

[30] იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3hyEge9

[31] მამაკაცები - 62.0%, ქალები - 40.4%. დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკა, 2020, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3sFUcgx

[32] 2020, IV კვარტალი - მამაკაცები - 1581.5 ლარი, ქალები - 1022.3 ლარი. სტატისტიკური მონაცემები შემოსავლების შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3gqhh4m

- კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ თუ პარლამენტის წევრი, რომელიც პარტიული სიით იქნა არჩეული, უარს იტყვის ან არ ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს როგორც პარლამენტის წევრმა, იგი შეიცვალოს იმავე სქესის შემდეგი კანდიდატით პარტიული სიიდან. თუ პარტიულ სიაში არ არის იმავე სქესის კანდიდატი, ეს მანდატი უნდა გაუქმდეს;
- შემუშავდეს სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის;
- შემუშავდეს მეთოდოლოგია შრომის ანაზღაურებაში გენდერული ნიშნით განსხვავების დასაანგარიშებლად და სტრატეგია ამ საკითხის მოსაგვარებლად.

მომზადებულია „საფარის“ მიერ

ბავშვთა უფლებები

პროგრესი

2020 წლის 1 ივნისს ბავშვის უფლებათა კოდექსი სრულად შევიდა ძალაში. ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა, რაც საქართველოში მცხოვრებ ბავშვებზე გრძელვადიან გავლენას მოახდენს. კოდექსში ჩამოყალიბებულია ბავშვების კეთილდღეობისა და დაცვის არსებულზე უფრო მაღალი სტანდარტები და იგი ადგენს გარანტიებს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ბავშვთა მონაწილეობისთვის, აყალიბებს მართლმსაჯულებაზე ყველანაირი დაბრკოლებების გარეშე წვდომის უფლებას, დაცვას ფიზიკური დასჯისგან და ა.შ.

არსებული მდგომარეობა

ბავშვის უფლებათა კოდექსის წინაშე მდგომი მთავარი გამოწვევა მისი ქმედითი განხორციელებაა. თუ სახელმწიფო არ გაუწევს განხორციელების პროცესს რეალურ ფინანსურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას, კოდექსის მეშვეობით რაიმე ცვლილების მიღწევა ვერ მოხერხდება.

ბავშვთა დაცვის სისტემის არასათანადო ფუნქციონირების და ბავშვებზე ზრუნვის სისტემაში არსებული კრიზისის გამო, სახელმწიფო ვერ ახერხებს ბავშვების მიტოვების პრევენციას და ამის ნაცვლად, ბავშვებს დიდ, ძირითადად არალიცენზირებულ დაწესებულებებში ათავსებს. მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვების კვების მიმართულებით. ასევე, აღინიშნება ბავშვთა სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი - ყოველი მეხუთე ბავშვი ცხოვრობს შინამეურნეობაში, სადაც მისი საბაზისო საჭიროებები ვერ კმაყოფილდება. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ასევე, საარსებო მინიმუმის დაბლა მცხოვრები ბავშვების რაოდენობაც.

მიუხედავად დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყების და საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისა, 900-ზე მეტი ბავშვი რჩება 38 არარეგულირებულ დაწესებულებაში - უმეტესად პანსიონატებში, რომლებსაც მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ამუშავებს და აფინანსებს, ანდა რომლებიც მუსლიმური ეკლესიის ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მართვაშია. 2021 წლის 15 აპრილს და 19 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, შეესწავლათ ჯავახეთში ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლთა, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში (რომელიც საპატრიარქოს გამგებლობაშია) მცხოვრებ ბავშვთა უფლებების მდგომარეობა. სახელმწიფომ ჯერჯერობით ვერ მოახერხა იმ დროებითი ღონისძიების აღსრულება, რომელსაც მისგან მოითხოვს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი და რომლის მიხედვით, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ნინოწმინდის ბავშვთა სახლის მონიტორინგი, ეს კი არასრულწლოვანებს დაცვის გარეშე ტოვებს.

COVID-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა ბავშვებზე ძალადობის, ბავშვთა სიღარიბის, ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებაზე მათი უფლებების დარღვევის რისკი. ონლაინ სასწავლო პროცესი განსაკუთრებით პრობლემურია შეზღუდული შეაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის და სიღარიბეში ან სოფლად მცხოვრები ბავშვებისთვის. ჯერ კიდევ გამოწვევაა ბავშვებზე ძალადობა. 2020 წელს წამოწყებული იქნა გამოძიება არასრულწლოვანებზე სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის 254 საქმეზე.

რეკომენდაციები

- დაუყოვნებლივ შეეწყოს ხელი სახალხო დამცველის წარმომადგენელთა დაუბრკოლებელ ვიზიტს ნინოწმინდის ბავშვთა სახლში და მაკონტროლებელ უწყებას მიეცეს შესაძლებლობა, ინდივიდუალურად გაესაუბროს ბავშვებს და ჩაატაროს ეფექტიანი მონიტორინგი;
- შემუშავდეს მსხვილი დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის გეგმა, რომელშიც განისაზღვრება ბავშვების როგორც ლიცენზირებული, ისე არალიცენზირებული დაწესებულებებიდან გაყვანის პირობები და ფორმები;
- დაიწყოს ბავშვების ინდივიდუალური შეფასება ბიოლოგიურ ოჯახებში მათი რეინტეგრაციის მიზნით, ხოლო როდესაც ეს შეუძლებელია, მათ გადასაყვანად ზრუნვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ დაწესებულებებში;
- გადახედილი იქნეს ბავშვთა სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული არსებული პოლიტიკა და სოციალური და ბავშვებზე ზრუნვის პროგრამების ეფექტიანობა.

მომზადებულია ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ

შრომითი უფლებები

პროგრესი

ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ წინსვლას მიაღწია მშრომელთა უფლებებისა და შრომის პირობებზე სახელმწიფო ზედამხედველობის გაუმჯობესების მიმართულებით. 2020 წლის შემოდგომაზე საქართველომ მიიღო შრომის რეფორმა: გააძლიერა შრომის ინსპექცია - მიანიჭა მას ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, გააფართოვა მისი მანდატი და ყველა შრომით პირობაზე ზედამხედველობის უფლებამოსილება მიენიჭა. 2020 წლის რეფორმა, რომელიც ძალაში 2021 წელს შევიდა, ასევე ითვალისწინებდა ფრაგმენტულ ცვლილებებს შრომით უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, შეზღუდული რეგულაციები ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან და ღამის ცვლებთან, კვირის განმავლობაში დასვენების დღეებთან, სამუშაო დღის განმავლობაში შესვენებასთან, გენდერულ თანასწორობასა და სხვა ისეთ გარანტიებთან დაკავშირებით, რომელთა დანერგვის ვალდებულება საქართველომ ასოცირების შესახებ შეთანხმებით იკისრა.

მიუხედავად ამ წინ გადადგმული ნაბიჯებისა, საქართველოს კანონმდებლობა და სახელმწიფო შრომის პოლიტიკა სრულად არ უზრუნველყოფს ღირსეულ შრომის პირობებს. ათასობით მშრომელი საქართველოში საარსებო მინიმუმზე დაბალ შემოსავალს იღებს, სოციალური გარანტიები ფაქტობრივად არ არსებობს, ხოლო აღსრულების სუსტი მექანიზმები და სამართლებრივი დაცვის საშუალებების არარსებობა პროფესიული კავშირებისთვის ნიშნავს, რომ მშრომელებს არა აქვთ სისტემური ცვლილებების ბრძოლის ეფექტური შესაძლებლობა.

არსებული მდგომარეობა

შრომის კოდექსი, ბოლოდროინდელი ცვლილებების მიუხედავად, მაინც არ აკმაყოფილებს შრომის ძირითად სტანდარტებს და სრულფასოვნად ვერ არეგულირებს ქვეყანაში დამკვიდრებულ ბევრ მჩაგვრელ შრომით პრაქტიკას. სამუშაო დროსთან, ზეგანაკვეთურ მუშაობასთან და ღამის ცვლის ანაზღაურებასთან, სოლიდარულ გაფიცვებთან და დეკრეტული შვებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებული სათანადო რეგულაციების არარსებობა გატარებულ რეფორმას ფრაგმენტულს ხდის და ქვეყანაში მჩაგვრელი შრომითი პრაქტიკის გაგრძელებას უშვებს.

შრომის ინსპექციას კვლავ არა აქვს საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსი, რაც მას მისცემდა მისი მანდატის ეფექტიანად აღსრულების საშუალებას ყველა სექტორსა და რეგიონში, განსაკუთრებით 2021 წლის 1 იანვრიდან მისი მანდატის მნიშვნელოვანი გაფართოების პირობებში. გარდა ამისა, პანდემიის დაწყების შემდეგ ინსპექციას გაუჩნდა COVID-19-თან დაკავშირებული რეგულაციების შესრულებაზე ზედამხედველობის ვალდებულება, რამაც გამოიწვია ინსპექციის გადატვირთვა და ყურადღება გადაიტანა მისი პირველადი მანდატიდან. ამგვარი სიტუაცია გრძელდება დღემდე, რაც ამცირებს ინსპექციის მნიშვნელოვან როლს საქართველოში ღირსეული შრომის პირობების უზრუნველყოფაში. შრომის ინსპექციას უნდა აღიჭურვოს სათანადო რაოდენობისა და კვალიფიკაციის კადრებით

და გადაეცეს საჭირო რესურსები თავისი მანდატის სრულად და ეფექტიანად შესასრულებლად.

შრომის ინსპექცია უნდა აღიჭურვოს სათანადო რაოდენობისა და კვალიფიკაციის კადრებით და გადაეცეს საჭირო რესურსები თავისი მანდატის სრულად და ეფექტიანად შესასრულებლად.

საქართველომ ასევე ვერ აღმოფხვრა სხვადასხვა ინდუსტრიაში გავრცელებული დაბალი ანაზღაურების პრობლემა. ქვეყნის ამჟამინდელი მინიმალური ხელფასი 1999 წელს დადგინდა თვეში 20 ლარის ოდენობით (დაახლოებით 5 ევრო) რაც 10-ჯერ დაბალია, ვიდრე ახლანდელი საარსებო მინიმუმი სამუშაო ასაკის მამაკაცისთვის. კანონით დადგენილი მინიმალური ხელფასის არარსებობამ ხელი შეუწყო მშრომელების ეკონომიკური ექსპლუატაციის გარემოს შექმნას, სადაც მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საარსებო მინიმუმზე გაცილებით ნაკლებს გამოიმუშავებს. აღნიშნული ასევე ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ გენდერულ სახელფასო სხვაობაზე, რადგან დაბალხელფასიანი სამუშაოების უმეტესობას ქალები ასრულებენ. მაგალითად, ბოლო პერიოდში ჩატარებულმა კვლევამ[33] აჩვენა, რომ ექთნების (რომელთა უმრავლესობა ქალია) ყოველთვიური ხელფასი 200-400 ლარს შეადგენს (დაახლოებით 50-100 ევრო). მათი დიდი ნაწილი იძულებულია, იმუშაოს ზეგანაკვეთურად და პაციენტების დიდ რაოდენობას მოუაროს - გაცილებით მეტს, ვიდრე ეს დადგენილია პაციენტი-ექთნის შეფარდების სახელმძღვანელო მითითებებში. ეს არამარტო ართულებს მათ სამუშაო პირობებს, არამედ ზემოქმედებას ახდენს ჯანდაცვის მთლიანი სისტემის ხარისხზეც. ყველაფერთან ერთად ექთნები, დაბალი ხელფასის გამო, იძულებულნი არიან, იმუშაონ 2-3 ადგილას. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ქართველების თითქმის 3/4 მხარს უჭერს ღირსეული მინიმალური ხელფასის შესახებ კანონის არსებობას[34], საქართველოს ხელისუფლებამ არ გადადგა რაიმე ნაბიჯები ამ მიზნისკენ. დაბალი ხელფასები, ასევე, ძირითადი მიზეზია ქვეყანაში შრომითი გაფიცვების მუდმივი აზვირთებისა. გარდა ამისა, დაბალი ხელფასები უშუალოდ უკავშირდება შრომით მიგრაციას საქართველოდან და უბიძგებს ადამიანებს უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს ძიებისკენ საზღვარგარეთ.

საქართველო განიცდის სოციალური დაცვის სათანადო სისტემის ნაკლებობასაც, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ცხოვრების პირობებს მშრომელებისთვის. სახელმწიფო არ უზრუნველყოფს უმუშევრობის შემწეობას ან უმუშევრობის დაზღვევის სქემებს, რაც დაიცავდა ადამიანებს სოციალური და ეკონომიკური რისკებისგან ან მისცემდა მათ შემოსავლის დაკარგვასთან გამკლავების საშუალებას. სოციალური პროგრამები, რომლებიც ადამიანებს ეხმარება სამუშაოს პოვნაში - როგორიცაა გადამზადება, დასაქმების სააგენტოები, სახელფასო სუბსიდიები და სამუშაოს შენარჩუნებისთვის გამიზნული საგადასახადო ინტრუმენტები - ასევე არასისტემატური და სუსტია. სოციალური დაცვის მექანიზმის უქონლობა ათასობით

[33] Solidarity Network- Union of Healthcare & Service Sector Workers, Coronavirus Pandemic and the Value of Nurses' Labour (in Georgia), June 2021;
[34] Friedrich Ebert Stiftung, Minimum Wage in Georgia, 2020, http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/16226.pdf

მშრომელს აყენებს ეკონომიკური დაუცველობის რისკის წინაშე, რაც კიდევ უფრო მძაფრად გამოავლინა COVID-19-ის პანდემიამ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, მშპ-ის წილის მიხედვით საქართველოს მსოფლიოში ყველაზე დიდი არაფორმალური ეკონომიკა აქვს - ქვეყნის მშპ-ის 64.9%. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განცხადებით, საქართველოს მუშახელის თითქმის ნახევარი ჩაბმულია არაფორმალურ დასაქმებაში. არაფორმალური მშრომელები საქართველოში, ჩვეულებრივ, არ არიან ჩართული მინიმალური სოციალური დაცვის სქემებში და ვერ სარგებლობენ იმ გარანტიებით, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს. არაფორმალური მშრომელების უმრავლესობა არ იყო გათვალისწინებული არც პანდემიის პერიოდის სამთავრობო ანტიკრიზისულ გეგმაში. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა ბოლოდროინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ პანდემიის შემდეგ არფორმალური საოჯახო მშრომელების 72%-ს სურს შრომის ფორმალიზება, თუ ეს მათთვის ხელმისაწვდომს გახდის ანტიკრიზისულ სერვისებს.

რეკომენდაციები

- გაძლიერდეს შრომის ინსპექციის ეფექტიანობა მისთვის აუცილებელი რესურსების (ფინანსური, ადამიანური და ადმინისტრაციული) უზრუნველყოფით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად ყველა სამუშაო პირობისა და შრომითი ურთიერთობების ინსპექტირებისთვის;
- გაგრძელდეს მუშაობა ძირითად შრომით უფლებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, და სრულ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან და ევროკავშირის რეგულაციებთან. განსაკუთრებით სამუშაო დროის ორგანიზების, ზეგანაკვეთური შრომის რეგულირების, გაფიცვის უფლების, სოლიდარული გაფიცვების, ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული შვებულების, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობების და შრომის სხვა სტანდარტების სფეროებში;
- მოხდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების, მათ შორის „ყოველკვირეული დასვენების (მრეწველობა) შესახებ“ კონვენციის, „მაღაროებში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ“ კონვენციის, „მინიმალური ხელფასის შესახებ“ კონვენციის, „სამუშაო საათების (მრეწველობა) შესახებ“ კონვენციის და „ღამის სამუშაო საათების შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება; ასევე, მოხდეს შემდეგი დოკუმენტების რატიფიცირება: „ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი და ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას;
- სოციალურ პარტნიორებთან და შრომით უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონსულტაციების საფუძველზე მიიღოს ისეთი მინიმალური ხელფასი, რომელიც მიბმული იქნება რეგულარულად განახლებად საარსებო მინიმუმის ინდექსზე (მათ

შორის სექტორული მინიმალური ხელფასი), და უზრუნველყოფილი იქნეს მისი ეფექტიანი აღსრულება;

- შემუშავდეს და დამტკიცდეს სოციალური დაცვის ეფექტიანი სქემები საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ უმუშევრად დარჩენილი ადამიანებისათვის;
- უზრუნველყოფილი იქნეს საჩივრების წარდგენის სწრაფი და ეფექტიანი მექანიზმი მშრომელებისთვის დავების ალტერნატიულად გადაჭრის მექანიზმებისა და საქართველოს საერთო სასამართლოების გამოყენებით;
- შემუშავდეს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არაფორმალური სექტორის ფორმალიზებისთვის და არაფორმალურ სექტორში დასაქმებული მშრომელებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს სოციალური დაცვა.

მომზადებულია „ღირსეული შრომის პლატფორმის“ მიერ

წამება და არასათანადო მოპყრობა

პროგრესი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი 2020 წლის დასაწყისიდან ციხის თანამშრომლების მიერ პატიმრების ფიზიკური შეურაცხყოფის მხოლოდ რამდენიმე შეტყობინებული შემთხვევაა აღრიცხული. პატიმართა რაოდენობა ეტაპობრივად მცირდება და ახლა მათი რაოდენობა დაახლოებით 9 000-ია. მე-12 პენიტენციური დაწესებულება, ძველი შენობით, სადაც არასათანადო საცხოვრებელი პირობები იყო დაიხურა, ხოლო პატიმრები გადაიყვანეს რუსთავის ახალ დაწესებულებაში, სადაც გაცილებით უკეთესი საცხოვრებელი პირობებია. პირობების გაუმჯობესების მიზნით სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებშიც განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ცვლილება. თითქმის მთელი 2020 წლის განმავლობაში, სხვადასხვა ღონისძიების გამოყენებით, ციხეებში COVID-19-ის გავრცელება ეფექტიანად იქნა შეკავებული და შენარჩუნებული ერთ დონეზე.

არსებული მდგომარეობა

გადატვირთული ციხეები

2013 წლის შემდეგ პატიმრების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, საქართველოში დღესაც ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პატიმრობის მაჩვენებელი აღინიშნება. ზოგიერთი პენიტენციური დაწესებულება მუდმივად გადატვირთულია, რაც უარყოფითად მოქმედებს პატიმრების საცხოვრებელ პირობებზე და ზოგიერთი უფლებით სარგებლობაზე, რაც უკავშირდება ციხის გადატვირთვის ზემოქმედებით ციხის თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის თანაფარდობას. 2021 წლის აპრილის მდგომარეობით საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში იმყოფებოდა 9 114 ადამიანი[35], რაც შეადგენს პატიმრობის შემდეგ მაჩვენებელს: 244 პატიმარი ყოველ 100 000 ადამიანზე. ამ მაჩვენებლით საქართველო 2020 წელს მესამე ადგილზე იყო ევროპის ქვეყნებს შორის.[36] 2021 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით ორ პენიტენციურ დაწესებულებაში: გლდანის №8 და ქსნის №15 დაწესებულებებში - პატიმართა რაოდენობამ რამდენიმე ასეულით გადააჭარბა ოფიციალური შევსების მაჩვენებელს.[37] სახალხო დამცველის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის ინფორმაციით, ციხეებში პერსონალის რაოდენობა „არ არის საკმარისი დაცული,

---

[35] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021 წლის აპრილი, სისხლის სამართლის სტატისტიკა, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3wcP0m1

[36] „პატიმრობის მაჩვენებელი ევროპაში“, 2020. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://www.statista.com/statistics/957501/incarceration-rate-in-europe/; „პატიმრები“, SPACE I 2020. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://wp.unil.ch/space/files/ 2021/04/210330_FinalReport_SPACE_I_2020.pdf

[37] გლდანის დაწესებულების ოფიციალური ტევადობა 2 426 პატიმარია (იანვარში, თებერვალში, მარტსა და აპრილში, შესაბამისად, იქ იმყოფებოდა 2 613; 2 710; 2 706 და 2 788 პატიმარი), ხოლო ქსნის დაწესებულების ტევადობა 1 388 პატიმარია (ფაქტიური რაოდენობები იანვარში, თებერვალში, მარტსა და აპრილში იყო 1 840; 1 802; 1 829 და 1 769 შესაბამისად).

უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს უზრუნველსაყოფად."[38] აღნიშნული ასახვას პოვებს პატიმრების კლასიფიკაციისა და განთავსების პრობლემაზე და ზრდის კონფლიქტებისა და ძალადობის შემთხვევებს მათ შორის, რაც კიდევ უფრო დაუცველს ხდის მოწყვლად პატიმრებს უფრო ძლიერი და მოძალადე პატიმრების მხრიდან შეურაცხყოფის, ჩაგვრის და დაზიანებების კუთხით.

სამარტოო პატიმრობის ხანგრძლივად გამოყენება

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის შემდეგ საქართველოს პენიტენციურ სისტემაში საგრძნობლად იკლო წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევებმა და, საერთო ჯამში, ციხის პერსონალის მხრიდან პატიმრების მიმართ მოპყრობა გაუმჯობესდა, პატიმართა მიმართ სამარტოო პატიმრობის ხანგრძლივი დროით გამოყენების პრაქტიკა (თვეები და ზოგჯერ ზედიზედ რამდენიმე წელიც) მაღალი რისკის და დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში წლების განმავლობაში გამოიყენება, რაც სახალხო დამცველის მიერ განიხილება როგორც არასათანადო მოპყრობა.

სახალხო დამცველის აპარატი ასევე აღნიშნავს დეესკალაციის ოთახების და „უსაფრთხო" საკნების გამოყენების შესახებ პატიმრების, მათ შორის არასრულწლოვნების, არაფორმალური დასჯის და არა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რაც ზოგიერთ შემთხვევაში არაადამიანურ მოპყრობას უტოლდება. ვინაიდან არ არსებობს ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სერვისები და სხვა საჭირო რესურსები, ციხის ადმინისტრაცია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების და თვითდაზიანების მიდრეკილების მქონე პატიმრებს დეესკალაციის ოთახებში ან „უსაფრთხო" საკნებში/სამარტოო საკნებში ათავსებს ხანგრძლივი პერიოდით და ხანმოკლე ინტერვალებით, რაც სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ტოლფასია[39] და კიდევ უფრო აღრმავებს მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს.

სამარტოო პატიმრობაში იზოლირება ზრდის იმის რისკს, რომ წამება ან არასათანადოდ მოპყრობა შეუმჩნეველი და დაუდგენელი დარჩეს და თავისთავად შეიძლება წარმოადგენდეს წამებას და არასათანადოდ მოპყრობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ხანგრძლივად და განუსაზღვრელი ვადით ხდება.[40]

კრიმინალური სუბკულტურა ციხეებში

ბოლო რამდენიმე წელია, შეინიშნება პატიმართა არაფორმალური იერარქიების და „ციხის ლიდერების" მომძლავრება საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში, განსაკუთრებით ნახევრად ღია ტიპის ციხეებში, რაც წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის, სახალხო

---

[38] სახალხო დამცველის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, გვ. 44. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://ombudsman.ge/res/docs/2020110212394895954.pdf

[39] სახალხო დამცველის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიში, 2020

[40] https://www.penalreform.org/issues/prison-conditions/key-facts/solitary-confinement/

დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშებშია აღნიშნული. ეს ფენომენი შედარებით სუსტ პატიმრებს აყენებს ძალადობისა და დაშინების საფრთხის წინაშე უფრო ძლიერი პატიმრების მხრიდან, რომლებიც პრივილეგიითა და გავლენით სარგებლობენ პატიმრებსა და ციხის პერსონალს შორის, განსაკუთრებით ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში.[41] მსგავსი პრობლემა 2020 წელს გლდანის დახურული ტიპის დაწესებულებაშიც გამოვლინდა,[42] სადაც ზოგი პატიმარი სხვა პატიმრების მხრიდან ჩაგვრასა და დამცირებას განიცდიდა. გამოიყენებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლის სხვა ფორმებიც.

საქართველოს სახალხო დამცველი სისტემატურად აშუქებს ამ პრობლემას და წლების განმავლობაში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „დაწესებულებების არაფორმალური მმართველობა პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს, რაც ხშირად განაპირობებს პატიმრებს შორის ძალადობასა და ჩაგვრას," და მოუწოდებს მთავრობას ამ პრობლემის დროული მოგვარებისკენ, განსაკუთრებით იმ გამოწვევების მართვის თვალსაზრისით, რომელთა წინაშეც პენიტენციური სისტემის მესვეურები დგანან.[43] ამ კრიმინალური სუბკულტურის არსებობას მხარს უჭერს ციხის ადმინისტრაცია, რომელიც „ციხის ლიდერებს" მიმართავს დახმარებისთვის, რათა შენარჩუნდეს წესრიგი და დამყარდეს კონტროლი პატიმრებზე, განსაკუთრებით დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში.[44]

აღსანიშნავია, რომ პატიმრებს შორის ძალადობამ და არასათანადო მოპყრობამ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ყურადღება მიიქცია. კომიტეტის წარმომადგენლები 2021 წლის მაისში საგანგებო ვიზიტი ჩაატარეს საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში.[45]

რეკომენდაციები

- შემცირდეს პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა გათავისუფლების მექანიზმების ამოქმედებით. ეს მექანიზმებია ვადაზე ადრე გათავისუფლება და საპატიმრო სასჯელის შეცვლა არასაპატიმრო სასჯელებით, ასევე სასჯელშეფარდების დროს ალტერნატიული აღკვეთი ღონისძიებების და სასჯელების გამოყენება.
- გადაისინჯოს სამარტოო პატიმრობის გამოყენების პრაქტიკა და ის გამოყენებული იქნეს იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რაც შეიძლება მოკლე ვადით და

[41] წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოში 2018 წლის ვიზიტის შესახებ, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://rm.coe.int/1680945eca

[42] ანგარიში #8 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის შესახებ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 https://bit.ly/3hiMyEY

[43] სახალხო დამცველის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, 2020 წელი.

[44] სახალხო დამცველის 2019 და 2020 წლების ანგარიშები; იხილეთ: „კრიმინალური სუბკულტურის გავლენა პენიტენციური დაწესებულების მართვაზე", „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის", 2020, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3yeCrba

[45] https://bit.ly/3dAonAZ

სათანადო პროცედურული გარანტიების დაცვით. სამართლო პატიმრობის გამოყენებისას ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ პატიმარს ჰქონდეს სათანადო სოციალური კონტაქტი სხვებთან. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს უფრო ინტენსიური კონტაქტი პერსონალსა და პატიმარს შორის; სხვა პატიმრებთან ერთად სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება და მეტი ვიზიტის დაშვება; ფსიქოლოგთან ან ფსიქიატრთან სიღრმისეული საუბრების ორგანიზება; ოჯახსა და მეგობრებთან ურთიერთობის შენარჩუნება და განვითარება; და საკანში და საკნის გარეთ შინაარსიანი აქტივობების უზრუნველყოფა;

- უზრუნველყოფილი იქნეს დეესკალაციის ოთახების და „უსაფრთხო“ საკნების გამოყენებასაერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;
- აღიარებული იქნეს საქართველოს ციხეებში კრიმინალური სუბკულტურის და პატიმართა არაფორმალური იერარქიების არსებობა და შემუშავდეს ამ ფენომენის დაძლევის სტრატეგია ისეთი სისტემური პრობლემების მოგვარებით, როგორიცაა პერსონალის სიმცირე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება, დინამიკური უსაფრთხოების გაძლიერება, ციხის რისკების/საჭიროებების შეფასების და კლასიფიკაციის სისტემის გაუმჯობესება.

მომზადებულია ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ მიერ

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული გამოწვევები

ბევრი წლის განმავლობაში როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები, ისე საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებდნენ მთავრობას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნისკენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით. ამას გარდა, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა ევროკავშირი-საქართველოს 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგითაც იყო განსაზღვრული. ზემოხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, რომლის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახური (ჩამოყალიბდა 2013 წელს) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურად გარდაიქმნა. არსებული ფუნქციების (პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ზედამხედველობის) პარალელურად, სამსახურმა შეიძინა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ცალკეული დანაშაულების გამოძიების მანდატი. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური 2019 წლის 10 მაისს შეიქმნა როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახურის სამართალმემკვიდრე. ის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საგამოძიებო ფუნქციებს 2019 წლის ნოემბრიდან ასრულებს.

არსებული მდგომარეობა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თითოეულ მიმართულებაში გარკვეული გამოწვევები და დაბრკოლებები არსებობს, კერძოდ:

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აკლია ფუნქციური დამოუკიდებლობა გამოძიებების ჩასატარებლად და მას არა აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად (ზედამხედველობის განმახორციელებელი პროკურორის ჩარევის გარეშე) მიიღოს გადაწყვეტილებები რიგ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით.[46] სამსახურის წლიურმა ანგარიშმა საგამოძიებო საქმიანობის შესახებ გამოავლინა, თუ რამდენად დიდი

[46] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გამოწვევებზე, 2020, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3w6wJ9Y ნანახია: 01.06.2021.

პრობლემაა ფუნქციური დამოუკიდებლობის ნაკლებობა და სხვა სახელმწიფო უწყებებზე დამოკიდებულება.[47]

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სხვა საგამოძიებო უწყებებისგან განსხვავებული უფლებამოსილება - წარადგინოს დასაბუთებული წინადადება, ასევე არ არის ეფექტიანი, რადგან საგამოძიებო ორგანოს წინადადებები (საგამოძიებო ქმედებების ჩატარების და სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ) არ ატარებს სავალდებულო ხასიათს პროკურატურისთვის, მათი განხილვა გვიანდება ხოლმე და არ არსებობს წინადადებაზე უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.[48]
- პრობლემაა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შეზღუდული მანდატი, ვინაიდან ის არ მოიცავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის და გენერალური პროკურორის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებს. ამას გარდა, სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობაში არ შედის სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი არაერთი დანაშაული.[49]
- არსებული კანონმდებლობით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არ არის უფლებამოსილი თავად განახორციელოს დაზარალებულის/მოწმის დაცვის სპეციალური ღონისძიება.[50]
- სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა გამომძიებელთა არასაკმარისი რაოდენობა და რეგიონული ოფისების სიმცირე.[51]
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ არ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.[52] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს არა აქვს განვითარებულ ქვეყნებში არსებული ზედამხედველობის განმახორციელებელი უწყებების მსგავსი საკანონმდებლო ბერკეტები.[53] პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით 2018-2019 წლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მოამზადა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონპროექტი და

---

[47] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშთან დაკავშირებით, 2021, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3xcjS7u ნანახია: 01.06.2021.

[48] იქვე.

[49] იქვე.

[50] იქვე.

[51] იქვე.

[52] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვა“, 2021, გვ. 5, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3AbeN17 ნანახია 2021 წლის 2 ივნისს.

[53] ანგარიში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შესახებ 2020, გვ. 93. იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3dtx6om ნანახია 2021 წლის 1 ივნისს.

სხვა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, მაგრამ თითქმის ორი წელია, კანონპროექტი საპარლამენტო კომიტეტების დონეზე განხილვის საწყის ეტაპზე რჩება.[54]

- საქართველოს ჯერ არ მოუწერია ხელი განახლებულ 108-ე კონვენციაზე, რომელიც ადგენს მონაცემთა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს, დამმუშავებლის უფრო მაღალ ანგარიშვალდებულებას და მონაცემთა დაცვის ეფექტიან ზედამხედველობას.[55] კერძოდ, კონვენცია დაუშვებლად მიიჩნევს ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე სრული გამონაკლისის დაშვებას და ითვალისწინებს, რომ აღნიშნული მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავება უნდა დაექვემდებაროს დამოუკიდებელ და ეფექტიან შემოწმებასა და ზედამხედველობას.
- უკანონო მიყურადება და პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების აუდიო-ვიდეო ჩანაწერების შანტაჟის მიზნით გამოყენება, ისევე როგორც ამგვარი დანაშაულების გამოძიების არაეფექტიანობა, საქართველოში სისტემურ პრობლემას წარმოადგენს.[56] გარდა ამისა, ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო არ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების სათანადო დაცვას.[57]

რეკომენდაციები

- განხორციელდეს სწრაფი და ქმედითი საკანონმდებლო ნაბიჯები საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებების გამიჯვნისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფუნქციური დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით;
- გაიზარდოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო მანდატი, რათა იგი გავრცელდეს სამართალმდაცავი ორგანოების მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულზე;
- გაფართოვდეს საგამოძიებო უწყების მანდატი, რათა იგი გავრცელდეს შინაგან საქმეთა მინისტრის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის და გენერალური პროკურორის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიენიჭოს უფლებამოსილება, გამოიყენოს დაცვის სპეციალური ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს მსხვერპლის, მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის უსაფრთხოების დაცვის მყარ გარანტიებს;

---

[54] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვა“, 2021, გვ. 5.

[55] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, მოდერნიზებული 108-ე კონვენციის მნიშვნელობა საქართველოსთვის, 2021, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/35YxXcO ნანახია 2021 წლის 2 ივნისს.

[56] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვა“, 2021, გვ. 24.

განცხადება პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების თაობაზე, 2021, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3w4rCa7 ნანახია 2021 წლის 2 ივნისს.

[57] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „ფარული მიყურადება საქართველოში - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი“, იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3jtXpiq ნანახია 2021 წლის 2 ივნისს.

- საგამოძიებო დეპარტამენტი უზრუნველყოფილი იქნეს ადეკვატური მატერიალური და ადამიანური რესურსებით;
- დროულად მოეწეროს ხელი 108+ კონვენციას და მიღებული იქნეს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) შესაბამისი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა. უზრუნველყოფილ იქნას გადახვევის რეჟიმების (Derogatory regimes), 108+ კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, გამონაკლისის სახით დარჩენა (ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით),[58] და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ადამიანის სხვა უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან, კერძოდ, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებებთან თანხვედრა.

მომზადებულია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ

[58] 108+ კონვენციის მხარეებს აღარ აქვთ შესაძლებლობა, გააკეთონ განცხადებები მონაცემთა დამუშავების კონკრეტული სახეების კონვენციის მოქმედებისგან განთავისუფლების შესახებ. 108+ კონვენცია მიუღებლად მიიჩნევს დაუშვებლად მიიჩნევს ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე სრულ გამონაკლისის დაშვებას. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ცალკეულ დებულებებთან დაკავშირებით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ეს პატივს სცემს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების არსს და აუცილებელი და პროპორციულია დემოკრატიულ საზოგადოებაში. გამონაკლისის დაშვების მიუხედავად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით, კონვენცია ცალსახად ითვალისწინებს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნებისათვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე ეფექტური და დამოუკიდებელი ზედამხედველობის უზრუნველყოფის ვალდებულებას.